სს აიდეკოს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით 3

მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 4

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 5

1. ზოგადი ინფორმაიცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა 6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
5. ფული და ფულის ექვივალენტები 10
6. მარაგები 10
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 10
8. კაპიტალის ცვლილება 11
9. შემოსავალი რეალიზაციიდან 11
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 11
11. საამგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
<u>აქტივები</u>			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	8.673	19.907
სავაჭრო მოთხოვნები		1.250.018	920.433
გადახდილი ავანსები		40.959	39.089
მარაგები	6	8.212	11.494
სხვა მიმდინარე აქტივები		430.398	430,398
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1.738.260**	**1.421.321**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		8.593.759	9.051.587
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8.593.759**	**9.051.587**
მთლიანი აქტივები		**10.332.019**	**10.472.908**
<u>ვალდებულებები და კაპიტალი</u>			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		351.922	472.010
ანგარიშსწორება ანგარიშვ.პირებთან		4,016	4,016
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი		19.074.138	18.504.661
სულ მოკლევადიანი ვალდებულებე		**19.430.076**	**18.980.687**

	შენიშვნა	31/12/22	31/12/22
შემოსავალი იჯარიდან და სხვა	9	2.155.097	1.983.520
ამორტიზაცია	10	-526.563	-564.679
საერთო მოგება		**1.628.534**	**1.418.841**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		-1.510.398	-1.650.168
შედეგი საკურსო სხვაობიდან		-666.832	3.827.746
საოპერაციო მოგება		**-2.177.230**	**2.177.578**
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-39.849	-91.130
მოგება დაბეგვრამდე		**-588.545**	**3.505.289**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**-588.545**	**3.505.289**

დირექტორი ---------- შოთა ქელდიშვილი

საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	46,335	46,335
გაუნაწილებელი მოგება	-9.144.392	-8.554.114
სულ საკუთარი კაპიტალი	**-9.098.057**	**-8.507.779**
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	**10.332.019**	**10.472.908**

მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი		**46,335**	**-8.554.114**	**-8.507.779**
კაპიტალის შემცირება				
წმინდა მოგება			-588.545	-588.545
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი		**46,335**	**-9.142.659**	**-9.096.324**

დირექტორი ---------- შოთა ქელდიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაიცია

სს აიდეკო დაფუძნდა 1996 წელის 27 აგვისტოს და რეგისტრირებულია ქ. თბილისი, ბროსეს ქ N 2, ფაქტიური მისამართი იგივე. კომპანიის საინდეფიკაციო კოდია: 203825682. კომპანიის პარტნიორია:

შპს არგოფინტრეიდი (ს/კ 204461466) 100%

სს აიდეკო არის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან შპს კლავესი-ის 100%-იანი წილის მფლობელი. (ს/კ 404511685)

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების გაყიდვა, გაქირავება .იგის აკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.კომპანიას მართავს სამეთვალყურო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი შოთა ქელდიშვილი (ს/კ 59001000119)

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად
მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი
საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის
საწარმოს მესამე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2010 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი

საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე

წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2023 წლის 1 იანვარი	2.7020	2.8844

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ვინაიდან კომპანის ძირითადი საქმიანობაა მის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების იჯარით გაცემა, მარაგები უჩნდება იმ შემთხვევაში როცა საჭირო ხდება ამა თი იმ საოფისე ფართის მოწყობა იჯარით გაცემამდე ან სრულად გასხვისებამდე

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

4.5 შემოსავალი

ვინაიდან საწარმო მუშაობს დარიცხვის მეთოდით, შემოსავლად ითვლება ყოველი თვის ბოლოს მოიჯარეებზე გამოწერილი იჯარის ან მომსახურების ა/ფაქტურებით ან ინვოისებით დაფიქსირებული თანხები.

4.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ნაღდი ფული სალაროში	3	3
ფული საბანკო ანგარიშებზე	8.670	19.904
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**8.673**	**19.907**

საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

მარაგები	31-12-2023	31-12-2022
ნედლეული და მასალები	7.912	11.494
ნედლეული დაუბეგრავი		
მზა პროდუქცია		
სულ მარაგები	**7.912**	**11.494**

5. ფული და ფულის ექვივალენტები

6. მარაგები

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

8. კაპიტალი

2023 წელს დამფუძნებლის მიერ სააქციო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის მის საკუთრებაში არსებული შენობა. ნაგებობების გაყიდვა, გაქირავება და ასევე მოიჯარეების მომსახურება.

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანია ზოგიერთ შემთხვევაში ახდენს მის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის გაყიდვას, აღნიშნულის აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის მეთოდით, შესატყვისეობის პრინციპის თანახმად

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**31-12-2023**	**31-12-2022**
სავაჭრო ვალდებულებები	346.634	920.433
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
სხვა ვალდებულებები	-	
სულ ვალდებულებები	**346.634**	**920.433**

11. საამგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.